საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

სახალხო საქმე

ფასი 30 კაპ.
ტფილისს გარეშე 60 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

№ 412 1918 წ. პარასკევი, დეკემბრის 20. 412

სადახლოსთან ქართველმა ჯარმა გაიმარჯვა და სომხები ძალიან დაზარალდა: ტყვედ წამოიყვანა 2 ოფიცერი და 37 ჯარისკაცი.—ახალქალაქში ჩვენი გამარჯვების შემდეგ მდგომარეობა უცვლელია.—სომხებს ხუთი ქართველი ტყვე დაუხვრეტნიათ.—დახურეს დაშნაკცაკანების გაზეთები „ნორ-ჰორიზონი" და „აშხატავორი". პორტუგ. პრეზ. მოჰკლეს.

ღრმად დამწუხრებული დედმ კესარია ფიფიას ასული ძმები ალექსი, ჯუნდო, გუდუ და ზებედე გოგიასძენი, დები ვარვარა, ციცუ და აკა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას

სტეფანე გოგიასძე ბაძაღუასას

რომელიც იქმნა ვერაგულად მოკლული ბაღდადის მთაზედ „მოლობილაშიდ" 1918 წ. დეკემბრის 7-ს ტირილის და უკანასკნელი გამოთხოვების დრო დანიშნულია 1918 წ. დეკემბრის 8-ს ძველი სტილით. სოფელ მუხურში (ზუგდიდის მაზრა) დაკრძალვა იქნება მუხურის წმინდა გიორგი ეკლესიის სასაფლაოზედ. 2574

მეუღლე მატო და შვილი გრიგოლი პორფირეს ძე პატარაიები იუწყებიან რომ ბანძაში გარდაიცვალა

პორფირე პატარაია

დაკრძალვა მოხდება დღეს, დეკემბრის 20-ს, დაბა ბანძაში. 2607

რძალი დარია სოლომონის ასული, გიორგი ესტატეს ძე სარჩიძელიძე, მარიამ ესტატეს ასული და კონსტანტინე ლანგე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველისა მული, დანარჩენთა მამიდა

ნინო გრიგოლის ასული პასილიევისა

პანაშვიდი დღეს, საღამოს 5 ს. საკუთარ სახლში (თეატრის შესახვევი, № 10). გამოსვენება დეკემბრის 21-ს, სამების ეკლესიაში. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 452

წარმოდგენა **სახელმწიფო თეატრი** № 5, 6.

პარასკევს, ორშაბათს, 1918 წ. დეკემბრის 20, 23-ს,

„კავშირი"-ს დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მეორედ ი. გედევანიშვილის ზღაპარი ფერია

ს ი ნ ა თ ლ ე

(1 ნაწილი). 3 მოქმ. და 7 სურ.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს საოპერო დასის ბალეტი ბ-ნ ვაკარეცის ხელმძღვანელობით, ხორო და ორკესტრი კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით.

დასაწყისი საღამოს 7 ს. ✦ მსახიობთა კავშირის **დირექცია.**

მზადდება „ანტიგონე", „ტარიელ გოლუა". მორიგ. წარ. მომ. ალ. გაჩეჩილაძე.

რეჟისორი შალვა დადიანი. 1438 თანაშემწე ალ. გუგუშვილი.

დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი"

დემ. კლ. არს. ქარ. წ. რ. მმარ. წრე.

კვირას, 1918 წელს დეკემბრის 22-ს

მსახიობ პ. ფრანგიშვილის
ბენეფისი

წარმოდგენილი იქნება ანდრეევის ცნობილი პიესა

დღენი ჩვენი ცხოვრებისა

4 მოქ. თარ. ალ. იმედაშვილისა.

მონაწილეობს მთელი წრე. **გლუხოვცევის როლს შეასრულებს მობენეფისე.**

ბილეთების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია.

ბილეთები იყიდება ყოველ დღე კლუბის კასაში, საღამოს 4-დან 8 საათ.

დასაწყისი სრულ 7 საათზე. ✦ დაწვრილებით პროგრამებში.

რეჟისორი: **პ. რანგიშვილი.** ადმინისტრატორი **ნ. მაჭავარიანი.**

2604 ქარ. წარ. მმარ. წრის გამგეობა.

განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ნებართვით **ქართული ლეგიონი** მოიწვევს მოხალისეებს.

მამულიშვილნო, დღეს სამშობლოს თქვენი თავი სჭირია!

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ბინაზე, სასახლის ქუჩა, ქართული თეატრის ეზოში, სადაც დროებით არის მოთავსებული ლეგიონის კანცელიარია. იქვე შეიძლება ყოველგვარი პირობების შეტყობა.

1447 ლეგიონის სარდალი პოლკოვნიკი **ლეო კერესელიძე.**

ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოება

კვირას დილის 10 საათზე იწვევს

საზოგადო არაჩვეულებრივ კრებას

საჩაიე „ძმურ ნუგეშში". 1451

გორის მაზრაში
ასარჩევია თორმეტი მომრიგებელი მოსამართლე

ჯამაგირი მომატებულია (თვეში ასი თუმანი) თხოვნები 1919 წ. იანვრამდე მიიღება.

2606 **გორის სამაზრო ერობის გამგეობა.**

მომღერალ-მგალობელთა გუნდი
მიხ. კავსაძისა

ქართული ბანკი, ტელეფ. № 170 ყოველ დღე 10—2 საათ. გუნდის ბინა, ჩუღურეთის წმ ნიკოლოზის ეკლესიის კლასი ორშ, სამშ. და პარასკ. საღ. 6—8 ს. 2603

ტფილისი, დეკემბრის 20.

მოუარეთ ტფილისს! ტფილისი ყოველთვის გული იყო საქართველოსი, საქართველოს ტვინი, საქართველოს გრძნობა, საქართველოს საუკეთესო შვილების სავანე. ამიტომაც არის საქართველოს ორგულები ყველაზე მეტად ტფილისს მტრობენ, აქ ბლომად იმიტომ იყრიან თავს, რომ მეტი ზიანი მიაყენონ ჩვენს გულს, ჩვენს ტვინს, ჩვენს ხალხს. დღეს, როდესაც სომხის პლუტოკრატია და დაშნაკცუტიუნი იარაღით მოდის საქართველოში ამ ჩვენს მტრებს მრავალი ჩვენი ორგული გამარჯვებას ულოცავს ზეიმით შეხვდნენ მტრებს როგორც ქალაქში ისე სოფლად.

საქართველოს ისტორიიდან არა ერთხელ ამოგვიკითხავს ტფილისის სომხის პლუტების როლი ჩვენდა საზარალოდ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი პლუტები ეხლა კიდევ უფრო მრავლად მოიპოვებიან ტფილისში, ნიღაბით დადიან ქუჩებში და ქალაქის საბჭოში, თვით პარლამენტშიაც, პრესაში სავსებით ააშკარავებენ ჩვენდამი მტრობას. გაზეთებში უკვე გამოაცხადეს ძეგვის ხიდის აფეთქების ამბავი, სადაც სისხლის სამართალში მიცემული გამოდგნენ სომხები, დაშნაკცუთიუნის პარტიის წევრები, რომელთაც რკინის გზის აფეთქება მოაწყვეს ტფილისიდან. ასეთმა ნაძირალებმა არა ერთხელ სცადეს ტფილისშივე ხიდების და დაწესებულებების აფეთქება და ჩვენდა სამწუხაროდ აუარებელი ფაქტია, რომელიც გვეუბნება: ტფილისს მოვლა აკლია და მტრები განაგრძობენ თარეშსა. ჩვენ მოვითხოვთ მთავრობისაგან სასტიკი ზომების მიღებას საქართველოს არა მოქალაქეების წინააღმდეგ. მართალია ამ სისასტიკით დაისჯება უდანაშაულოც, მაგრამ რაკი სახელმწიფოს წინააღმდეგ მრავალი პროვოკატორი ამოძრავდა ამათ სინიდისზე უნდა დარჩეს იმ პირების შევიწროებაც, რომელნიც სხვა და სხვა ზომით შეიძლება უდანაშაულოდ შევიწროვდეს.

ფაქტიურად ომი სწარმოებს და ტფილისში ყველამ უნდა იგრძნოს ომის პირობები. დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ყველგან და ყველაფერში ნაციონალიზაცია. აქამდე რატომ არ განახორციელებულა ნაციონალიზაცია მილიციაში? რად არ არის ეხლავე გატარებული ნაციონალიზაცია ქალაქის თვითმართველობაში? ტფილისში არც ერთი დაწესებულება, იქნება ის ქართული თუ არა ქართული, ყველგან უნდა დაეთმოს ქართულს საპატიო, სახელმწიფოებრივი ადგილი. სომხეთიდან გამოქცეულები დაუყოვნებლივ უნდა გაყვანილ იქმნას საქართველოს საზღვრებიდან, ხოლო ვინც საქართველოს მოქალაქე არ არის, ის უნდა გავაძევოთ ჩვენი სოფელ-ქალაქებიდან, განსაკუთრებით სომხის ტომისა.

ჩვენ მოვითხოვთ სასტიკ ზომებს, ყველაფერი ეხლავე უნდა გაკეთდეს. მოცდა დაღუპვაა. ხომ ვიწვნიეთ დაგვიანების შედეგები.

* * *

საქართველოს ჯარი. საქართველოს პარლამენტის დეკემბრის 17-ს სხდომა ფრიად ყურადსაღები იყო. აქ ნათლად გამოირკვა, ვინ არის ჩვენი მტერი და ვინ მოყვარე. ერთი ჭირი მარგებელიაო, იტყვიან და აქაც ასე მოხდა. საბოლოვოდ გამოირკვა სომხის „დემოკრატიის" ხელმძღვანელ ავანტიურისტების შავი გული და ისიც, რომ ჩვენი ლხინი და ჭირი აქაურ სომხის წარმომადგენლებისათვისაც უცხოა. ამიტომ იყო, რომ მათ არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ იმ საერთო აღშფოთებაში და მეორე მხრით მტკიცე ენტუზიაზმში, ზემოხსენებულ კრებაზე რომ გამოიჩინა პარლამენტმა განურჩევლად მიმართულებისა, გარდა, რასაკვირველია, სომხებისა. მაგრამ ეხლა ამას არ შევეხებით. ჩვენ გვინდა შევეხოთ ახალგაზდა რესპუბლიკის ახალგაზდა ჯარს.

სამხედრო მინისტრის გ. გიორგაძის გამოსვლას პარლამენტი სიხარულით შეხვდა და აღტაცებული იყო იმ გმირობით, ჩვენ ჯარს რომ გამოუჩენია. საშინელ მდგომარეობაში იყო ჩვენი მცირერიცხოვანი ლაშქარი, მაგრამ მან გაარღვია მოწინააღმდეგეთა წრე და მებრძოლის თავდადებით, ქართველურად სამშვიდობოს გამოვიდა—ამბობდა მინისტრი. ჩვენი ჯარის სასიქადულოთ უნდა ითქვას, რომ ამ ჯოჯოხეთურ პირობებში თუმცა ბევრი დაიღუპა, მაგრამ არც ერთს მტრისათვის ზურგი არ უჩვენებიაო. პარლამენტი აღტაცებული იყო და მხურვალე ტაშით, წრფელი სალმით ეგებებოდა ქართველი ლაშქრის გმირობის ამბავს.

აღსანიშნავია აგრეთვე ის, რაც წითელი გვარდიის წარმომადგენელმა ვ. ჯუღელმა ილაპარაკა. რეგულიარული ჯარი და სახალხო გვარდია ერთმანეთს ასწრობენ და სიხარულით მიდიან ფრონტზე, ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან ჩვენს მხარესაა სიმართლე და ჭეშმარიტებაო. პარლამენტის დეკემბრის 17-ს სხდომაეს იყო გაერთიანება სამოქალაქო და სამხედრო ძალებისა, სასიხარულო ერთსულოვნება სახელმწიფოსი და დეპუტატები გულწრფელად, აღფრთოვანებით ამბობდნენ: გაუმარჯოს ჯარს, გაუმარჯოს გვარდიას. ეს იყო ჩვენი ახალგაზდა ჯარის ტრიუმფი, მისალმება მისადმი.

ჩვენც, პარლამენტთან ერთად სალამს ვუძღვნით ჩვენს მებრძოლებს, ჩვენს იმედს, საქართველოს სიმტკიცეს და ძლიერების საფუძველს—ჯარს და გვარდიას. დაე იცოდნენ ბრძოლის ველზე მყოფებმა, რომ მათ ზურგს უკან მთელი ერი სდგას და მისთვის იზრუნებს. დაე კეთილად დამთავრდეს თავისუფალ საქართველოს პირველი ლაშქრობა შემოსეულ მტერთა წინააღმდეგ, დაე მტკიცე იყოს მებრძოლთა ხმალი და სწრაფი მათი ტყვია.

გაუმარჯოს ქართველ ჯარს, გაუმარჯოს სახალხო გვარდიას, მათ ბრძოლას მუხანათ მტერთან სამშობლოს დასაცავად.

ქართული პრესა

გაზეთი „ერთობა" ეხება საქართველოს და სომხეთის ომს და მოუწოდებს ფრონტისათვის ზრუნვისაკენ. გაზეთი ბოლოს ამბობს:

> მაგრამ ბრძოლის ველზე, ფრონტზე ფიქრმა არ უნდა დაგვავიწყოს ზურგიც: მისი მოწყობა ისეთ წესზე, რომ ჩვენს მეომრებს აღარ დასჭირდეთ ერთი თვალის უკან დაჭერა, რომ მთელი მათი გულის ყური მტერზე იყოს მიპყრობილი,—აი ჩვენი მახლობელი საქმე საომარ მოქმედების დასაწყისშივე. ზურგი უნდა გაიწმინდოს ყველა იმ ელემენტებისაგან, რომლებსაც ოდნავაც ეჭვის აღძვრა შეუძლიანთ თავის ერთგულების მხრით. ომის დროს ჩვენში არა აქვს ადგილი არა მარტო მათ, ვინც ჩვენი რესპუბლიკის აქტიური მოწინააღმდეგეა, არა მარტო მათ, ვინც ჩვენს ქვეყანაში სცხოვრობს და იმავ დროს სხვა სახელმწიფო ძალების შემოსვლას ელის. ჩვენ ქვეყანაში ომის დროს არ უნდა ჰქონდეს ადგილი იმ ელემენტებსაც, რომლებსაც ასე თუ ისე შეუძლიანთ ხელი შეუშალონ ჩვენს ჯარს სამხედრო მოქმედების დროს. და ვინ არ იცის, რომ ჩვენი სოციალისტური მთავრობის ლმობიერ პოლიტიკის წყალობით ამნაირი ელემენტებით სავსეა ჩვენი ქვეყანა და უმთავრესად ჩვენი დედა ქალაქი, რომ ისინი ჩვენში სარგებლობენ სრული პოლიტიკური თავისუფლებით, რომ მათ შეუძლიანთ თავისუფალი ლაპარაკი, წერა, მოქმედება, რომ მათ აქამდის ამ მხრივ ხელს არავინ უშლიდა, თუმცა ეს მათი თავისუფლება ჩვენი მთავრობისა და ხშირად ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ იყო მიმართული.
>
> ომის დროს ყველა ეს დაუშვებელია. გაიგოს ქვეყანამ, რომ მუხანათმა მტერმა, რომელიც აქამდის მოძმის ქურქში იყო გახვეული, დანა ყელში მოგვაბჯინა და ულმობლად სიკვდილს გვიქადის. ჩვენ გვინდა სიცოცხლე შევინარჩუნოთ, სიცოცხლისთვის იბრძვის დემოკრატია! ეს უნდა იცოდეს ყველამ და ვისაც ამ საქმეში ჩვენი დახმარება არ უნდა, მას ჩვენს დედა ქალაქში ალაგი არა აქვს.
>
> „ის ვინც მომხრეა საქართველოს რესპუბლიკის, ჩვენთან იქნება. ის, ვინც ამ მიზანს მხარს არ დაგვიჭერს მტერია საქართველოსი და აქ ყურ დაირჩება".
>
> ასე სთქვა პარლამენტის უკანასკნელ კრებაზე მთავრობის თავმჯდომარემ და დემოკრატიის ბელადმა ნოე ჟორდანიამ და ეს მისი სამოქმედო ლოზუნგი უნდა დაუყონებლივ იყოს განხორციელებული.

უკანასკნელი ცნობები

ახალქალაქის საზღვრებზე.

დეკემბრის 16, დაახლოვებით საღამოს 5 საათზე სომხები ორ ესკადრონამდე უცბად თავს დაესხენ ჩვენს სავალე დარაჯებს ახალქალაქის საზღვარზე. მცირე სროლის შემდეგ თავდასხმა მოგერებულ იქმნა. მალე სომხების შემოტევა განახლდა, მაგრამ მისულმა ჩვენმა რაზმმა ხელ-ახლა უკუ აგდო.

სომხებმა მიიღეს ახალი ძალები და განაახლეს შეტევა საღამოს 8 საათზე და შეავიწროვეს ჩვენი ნაწილები სოფელ ტროიცკოესთან. ჩვენმა ნაწილებმა კონტრ-იერიშით მტერი განდევნეს სოფელ ტროიცკოედან და დადევნების შემდეგ ისინი საზღვარს იქით უკუაგდეს. ტყვეთ წამოყვანილია 8 სომეხი. ბრძოლის ველზე მტერმა დასტოვა 15 მოკლული და 40 დაჭრილი. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა.

სანაინის მიმართულებით.

სანაინის მიმართულებით. ღამის განმავლობაში იშვიათად იყო სროლა.

სომხეთთან ომის გამო.

მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა: „მთელი ქუთაისი იმედიან აღტაცებით შეეგება მთავრობის ბრძანებას მობილიზაციის მოხდენის შესახებ. გაიმართა დიდი მანიფესტაციები: მთელი ხალხი მზათ არის იარაღით ხელში დაიცვას საყვარელი სამარადისოთ, დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო. მრავალ ათასიან რიცხოვანი მიტინგი გესალმებათ თქვენ. გაუმარჯოს ქართველ ერს, მის საყვარელ ლაშქარსა და რევოლუციონურ ჩვენ მთავრობას. „მიტინგის თავმჯდომარე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია ბორჯომიდან შემდეგი დეპეშა: „ვიწრო ნაციონალისტურ შოვინისტურმა მიმართულებამ შეიტანა სომეხ-ქართველთა ურთიერ-

თობაში მტრული განწყობილება, რომელიც დღით-დღე ვითარდება და გვიქადის სისხლის ღვრას. თუ ეს ანტოგონიზმი განვითარდა და რეალური შედეგები მიჰყვა ეს დაღუპვისაკენ წაიყვანს როგორც ქართველ, ისე სომხის დემოკრატიას. ჩვენ, ბორჯომში მცხვრები სომეხთა საზოგადოება, როგორც თავისუფალს სარქართველოს ქვეშერდომებს მეტად გვაღელვებს აღნიშნული მდგომარეობა, რადგანაც ის მოვლენა, რომელიც მავნებელია საქართველოს რესპუბლიკისთვის, მავნებელია და შემაძრწმუნებული აგრეთვე სომეხთათვის. ამიტომ ზემოხსენებული სომეხთა საზოგადოება გმობს რა იმ პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებენ სომხის და ქართველთა შორის ძიებით გაღლენთილი ნაციონალისტები, გთხოვთ თქვენ, ნოე ნიკოლოზის ძევ მიიღოთ ყოველივე ზომები სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლათ, და სომეხ-ქართველთა შორის სადავო საკითხების გადასაჭრელათ კონფერენციის და არბიტრაჟის საშუალებით. რეზოლიუცია გამოტანილი იქნა 16 დეკემბერს სომეხთა საზოგადო კრილობაზე." კრილობის თავმჯდომარე ვ. დავთიანცი.

სამხედრო შტაბის ცნობა სადახლოსთან.

დეკემბრის 13, დაახლოვებით 5 საათზე სომხების ნაწილებმა სადახლოსთან ისარგებლეს ღრუბლიანი ამინდი, ჩამოეშვენ მთებიდან და შემოუტიეს ჩვენს ნაწილებს. მაგრამ ისინი მალე დიდად დაზარალებულნი მოგერებულ იქნენ. მალე მტერმა ისევ განაახლა შემოტევა, მაგრამ ჩვენი ნაწილების კონტრ-შეტევით იძულებული შეიქნა გაქცეულიყო, რის შემდეგ ბრძოლის ველზე დატოვეს 3 ოფიცერი და რამოდენიმე ათეული ჯარისკაცი. ტყვედ წამოყვანილია 2 ოფიცერი (ერთი მათგანი რუსია) და 37 შეიარაღებული ჯარისკაცი.

ახალქალაქის მაზრაში.

ახალქალაქის მაზრაში მდგომარეობა უცვლელია. გამოირკვა, რომ ყველგან ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ სომხეთა რეგულიარული ნაწილები.

ტყვედ წაყვანილთა დახვრეტა.

პირველ დღეებში ტყვედ წაყვანილი 5 ქართველი ჯარისკაცი სომხებს დაუხვრეტიათ.

სომხეთში.

ერევნის გაზეთი „ჟოღოვურდის" გადმოცემით სომხებს დაუჭერია ტერიტორია და აღუდგენია რკინის გზის მიმოსვლა კამარლიუ-ალექსანდროპოლ სად. აირანამდე.

საქართველოს პარლამენტი

(სამშაბათი, დეკემბრის 17).

სომხეთ-საქართველოს საკითხი.

გრ. რცხილაძის შემდეგ განაგრძობენ ლაპარაკს ფრაქციათა წარმომადგენლები.

გრ. ვეშაპელი (დამოუკ. ნ-დ.) რაც მთავრობის თავმჯდომარემ განაცხადა, უბრალო ენით რომ ვსთქვათ, ნიშნავს იმას, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის არის ომი." ჩვენი მთავრობა ნაკლებად სჯიდა და სჯის რეალური პოლიტიკის მიხედვით იმას, რაც მის გარშემო ხდება. ჩვენი მთავრობა ვალდებული იყო დაეცვა საქართველოს საზღვრები და მიეტოვებინა ის გაშიშვლებული განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც წათერნ—კორინჯის ამბებს ჰქონდა ადგილი. საგარეო საქმეთა მინისტრმა იმის მაგივრად, რომ ქვეყნის დაცვაზე ეზრუნა მთელი თავისი მოქმედება მოანდომა მიწერ-მოწერას. სომხეთის პარლამენტში ყველა ფრაქცია თანახმა იყო: კონფერენცია ჩვენთვის ხელსაყრელი არ არისო და ერთმა დეპუტატმა, მამიკონიამა, იმ მამიკონიანმა, რომელიც ჩვენს ეროვნულ ყრილობაზე საქართველოსა და სომხეთის ფედერატიულ სახელმწიფოს შექმნაზე ლაპარაკობდა, სთქვა: „ვთქვათ პირდაპირ, რომ კონფერენცია სომხეთისათვის ხელსაყრელი არ არისო". ეს ყველაფერი იცოდა ჩვენმა მინისტრმა, მაგრამ მაინც მთელ მოქმედებას ანდომებდა სამუდარო დეპეშებს: კეთილ ინებეთ და მობრძანდით ტფილისშიო. ამ მიწერ-მოწერამ ჩვენს საზოგადოებრივ წრეებში სრულებით მოხსნა საკითხი ჩვენი სახელმწიფოს დაცვისა. საქართველოს მთავრობას უნდა დაეცვა საზღვრები. კორინჯ-წათერნის ხაზი—ერთად ერთი სტრატეგიული ხაზია და ის უნდა ყოფილიყო დაცული ისე, რომ ჩვენ უზრუნველი ვყოფილიყავით თავდასხმისაგან. დიდი შეცდომა იყო, რომ ამ საზღვარს იცავდნენ იმავე ძალებით, როგორითაც იცავდნენ სხვა დანარჩენ საზღვრებს, საიდანაც თავდასხმა არ იყო მოსალოდნელი და არც შეტაკებები. აქამდე მთავრობა მარტო ერთ პარტიას სდებდა ბრალს. ეხლა ამ პარტიიდანაც გამოჰყვეს ერთი ფრაქცია—სამხედრო და ამას სდებენ ბრალს. თუ ვიტყვით, რომ ყოველი მთავრობა ღირსია იმ სახელმწიფოსი, რომელსაც სათავეში უდგას, ეს ითქმის დემოკრატიულ ქვეყნებზე და ჩვენი მთავრობა ტყუილ უბრალოდ სდებს ბრალს მხოლოდ ერთ ფრაქციას.

ეს ყველაფერი სათქმელია. შეიძლება ეს ზოგიერთებისთვის საწყენი იყოს, მაგრამ მაინც უნდა ითქვას. მარტო საზეიმოდ კი არა ვართ მოსული, რომ ტაშისცემით დავაჯილდოვოთ მთავრობის წარმომადგენლები და ამით დავკმაყოფილდეთ: აქ სწყდება საკითხი ქართველების ჩათრევისა ომში. აქ ლაპარაკობენ ისე, თითქოს ეს იყოს საერთაშორისო ტრიბუნალი პარიზისა ან ნიუიორკისა. სამშვიდობო სიტყვები კი არ არის საკმარისი; მთავრობამ უნდა სთქვას, რა ზომებს იღებს, რომ საშუალება მოგვეცეს მოვიგერიოთ თავდასხმები. აქ ერიდებიან სიტყვას „ომს". საჭიროა განსაკუთრებული ზომების მიღება; ამისათვის უნდა მოსთხოვოთ ხალხს ყველაფერი: ჯარი, სურსათი, ფული. მაგრამ ის არ გამოიღებს ამას, თუ არ ეცოდინება, რა მიზნებისათვის სწარმოებს ეს ბრძოლა. თუ ომი არის, ომს სჭირდება საყოველთაო მობილიზაცია, და ამ ომით საბოლოოდ უნდა გადასწყდეს ჩვენი საზღვრების საკითხი. საქართველომ უნდა დაიკავოს ბრძოლით ის საზღვრები, რომელიც არის საწინდარი ჩვენი სახელმწიფოს უზრუნველყოფისა სომხებისაგან. ამ საზღვრებს ნუ ეძახით ნურაფერს, ნურც ეთნოგრაფიულს, ნურც რეალურს. ეს არის ბუნებრივი საზღვრები. ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოინახოს ის საზღვრები, რომელიც ჩვენზე უფრო გამოცდილ წინაპრებს ჰქონდათ.

ეს ყველაფერი უნდა უთხრათ ხალხს, პირდაპირ უნდა უთხრათ ხალხს, რომ საჭიროა ომი სომხებთან თუ თქვენ უთხარით ეს სამხედრო ფრაქციის ბრალიაო, ხალხი ამას ვერ გაიგებს. ეს ყველაფერი საჭიროა, რათა ეს ომიც არ გათავდეს ისე, როგორც გათავდა ერთი ჩვენი ომი, რომლის მსგავსი დედამიწის ზურგს არ უნახავს. დაფიქრდით კარგად: თუ ომია საჭირო, უნდა გააკეთოთ ყველაფერი.

გ. გვაზავა (ნ. დ.) აცხადებს, რომ ლაპარაკის დრო არ არის, როდესაც მტერი ზურგში ხანჯლით დაგვეცა. არ არის საჭირო პარტიული დანაწილება, უნდა იყოს ერთი ქართველი ერი, ერთის აზრით გატაცებული, რომ დაიცვას თავისუფლება, ეროვნული ღირსება და პატიოსნება.

ალ. ლომთათიძე (ს.-დ.) მოქალაქენო! არ არის დრო ანგარიში გაუწიოთ ჩხავილს, რომელიც აქ მოვისმინეთ დღეს აქ მხოლოდ ერთ რამეზე შეძლება ლაპარაკი: რამ აიძულა დემოკრატიული მთავრობა იარაღი აეღო ხელში. ჩვენ ყველა საშუალება ამოვსწურეთ, რომ მშვიდობიანის გზით გადაგვეწყვიტა სადავო საკითხები. მაგრამ სომხებმა სულ სხვა პოლიტიკა აწარმოეს. ის პოლიტიკა, რომელიც უწარმოებია დაშნაკცუთიუნს ოსმალეთში და რომლის ნაყოფი იგემა სომხის ერმა, მათ აქ გადმოიტანეს. და ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ! როდესაც ჩვენს იმ ტერიტორიას, სადაც სახელმწიფოებრივობა გვაქვს გაჩაღებული და ყველაფერს იმას, რაც დემოკრატიის სისხლით არის შექმნილი და მოპოებული, განადგურებას უმზადებენ, ჩვენ ვეტყვით: „ხელი შორს, ამის ნებას ჩვენ არ მოგცემთ."

ამ ტრიბუნიდან უნდა ითქვას: სახელმწიფო საფრთხეშია, აიღეთ იარაღი ხელში, მტერს მტრულად დახვდით და მოყვარეს მოყვრულად (ტაში).

ვ. ჯუღელი სახ. გვარდიის ხელმძ. მოქალაქენო, არც ერთ გალაშქრებაში, რომელშიაც ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენი დემოკრატია იღებდა მონაწილეობას, არ ყოფილა ისეთი აღფრთოვანება და ერთსულოვნება, რომელიც არის იმ გალაშქრებაში, რომელსაც ვაწარმოებთ და ვიწყებთ სამწუხაროდ ჩვენ დღეს.

და თუ ასეთი ერთსულოვნება და აღფრთოვანებაა მთელ ჩვენს ხალხში და მას მებრძოლ ელემენტებში მიზეზი ამისი ის კი არ არის, რომ ჩვენ ომი გვიყვარს, რომ ჩვენ ომის მოტრფიალენი ვართ, არამედ ის, რომ ჩვენი ომის სიმართლე, ჩვენი საქმის სიმართლე გვწამს და როგორმე მთელი ჩვენი ძალღონით გვინდა, რომ ეს ომი ადრე ჩავაქროთ.

ასე ვაყენებთ ჩვენ საკითხს. როდესაც ჩვენი რაზმები, მუდმივი რაზმები, რეგულიარული ჯარი და სახალხო გვარდია ერთმანეთს ასწრებენ და სიხარულით მიდიან ფრონტზე, ეს არის იმის მაჩვენებელი, რომ ამ ომში უთუოდ ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ, რადგანაც სიმხნევე, აღფროვანებას სარჩულად სიმართლე ედება, ჩვენ მხარეზე იქნებ გამარჯვება (მქუხარე ტაში).

და მე მოქალაქენო, მინდა თვალი გადავავლო იმ ახლო წარსულს, როდესაც ვიცავდით იმ ხალხს, რომელიც დღეს ჩვენ წინააღმდეგ ამხედრებულა.

აი სწორედ ჩვენი წარსული არის იმის მოწმე, რომ ჩვენ არასოდეს არ ვხელმძღვანელობდით ნაციონალური შუღლით და იქ სადაც რომელიმე ერი, რომელიმე ჯგუფი იჩაგრებოდა, ჩვენ ჩვენი ღონით, ჩვენი დახმარებით მივდიოდით მათთან და მათ ვშველოდით. ამას წინად, როდესაც თათრების ბრბოებთან ვაწარმოებდით ბრძოლას, შულავერი დიდ განსაცდელში ჩავარდა და ჩვენ განვიზრახეთ ამ შულავერის დაცვა. როდესაც შულავერს, სადაც განსაკუთრებით სომხები სცხოვრობენ, ირგვლივ ჰქონდა რკალი დარტყმული თათრებისა, ჩვენმა პატარა ჯგუფმა განიზრახა შულავერის დაცვა.

ჩვენ გავეშურეთ შულავრისკენ და სწორედ ამ ექსპედიციაში დავკარგეთ რამდენიმე ჩვენი ძვირფასი ამხანაგი და სხვათა შორის ვალიკო შარაშიძე.

სადახლოში, როდესაც საშინელი ალი დაინთო სომხების და თათრების ურთიერთობაში, და როდესაც ერთის მხრივ იდგა დარაზმული სომხები და მეორე მხრივ დარაზმული თათრები, ქართველები შუაში დავდექით და უთხარით მათ: მიეცით ერთმანეთს ხელი, რადგანაც თქვენ, როგორც მშრომელი ხალხი, როგორც მუშა ხალხი, ერთმანეთს ძმები ხართ და თქვენ არ მოგცემთ აწიოკების და ომის ნებას. და მართლაც ეს ხალხი, რომელიც საომრად იყო მომზადებული, დაიშალა და თავიანთ კერას დაუბრუნდა.

როდესაც ჩვენ ბოლშევიკები დავამარცხეთ სოხუმის ფრონტზე, დავიკავეთ სოხუმის ოლქი, ჩვენთან მოვიდნენ სომხის ნაციონალურ საბჭოს წარმომადგენელნი და გვითხრეს: ჩვენ გვინდა გადავსახლდეთ სოხუმის ოლქიდან, რადგანაც მრავალი საფრთხე მოგველის და ჩვენ გვინდა ეს საფრთხე თავიდან ავიცილოთო. ჩვენ უთხარით იმათ: საქართველოს დემოკრატია არის თქვენთან ერთად და თუ თქვენ, როგორც სომხებს, რაიმე საფრთხე მოგელით, ჩვენი მთელი ძალღონით დაგეხმარებით თქვენ და, თუ დახმარება ვერ შევძელით, ჩვენ ყოველთვის ასეთ პოლიტიკას ვაწარმოებდით და ამასთანვე ისეთი მდგომარეობა არის, რომ არც ერთი ერის წინააღმდეგ არავითარი განსაკუთრებული ზომები მიღება არ გვინდა და არც ერთი ერის დაჩაგვრა არ გვსურს. და დღეს ყველა ამ მაგალითების შემდეგ სწორედ ამ ერის წარმომადგენლები, სწორედ ის ჯგუფი, რომელი ამ ერის საუბედუროდ და საბედისწეროდ გაჩენილა და რომელსაც სახელად ჰქვიან დაშნაკცაკანთა პარტია, რომელმაც დაღუპვის გზაზე დააყენა სომხის ერი, და ვამბობ თუ დაიღუპა სომხეთი ამ პარტიის ნამოქმედარი იქნება. აი სწორედ ეს ჯგუფი სრულიად მოულოდნელად ავაზაკურად, ქურდულად თავს დაესხა ჩვენს მოდარაჯე რაზმს, რომელსაც არავინ მოელოდა. ციციანოვის რაზმი დასვენებულად იყო, ჩაის სვამდა, მაშინ, როდესაც ირგვლივ დაეცა მას მებრძოლი რაზმი. ეს რაზმი, მცირე რაზმი თითქმის სრულიად განადგურებულია. და სხვა ადგილებში იმ დროს, როდესაც ომს სრულიად არ მოველოდით, როდესაც ჩვენ გვინდოდა მთელი ჩვენი ძალღონით მორიგება, სწორედ ამ დროს ავაზაკურად დაამზადეს ის სატევარი, რომელიც ჩვენ გულში ჩაგვცეს, მაგრამ ჩვენ მოწინააღმდეგებს ეგონათ, რომ საქართველოს დემოკრატია, რომელმაც შექმნა თავისი დამოუკიდებლობა, რომელმაც თავისი თავი გადაარჩინა, იმდენად სუსტი იქნება, რომ ერთი ქურდული დაკვრით შეიძლება ამ დემოკრატიის განადგურება.

ჩვენ კი ვიცით, მეგობრებო, რომ სწორედ საქართველოს დემოკრატია დღეს დგება ფეხზე და ჩვენთან, სხვათა შორის, სომხის დემოკრატიის საუკეთესო ნაწილი. ყველაზე უფრო პატიოსანნი მუშაკნი ჩვენთან ერთად არიან, ჩვენთან ერთად იბრძვიან. ეს სხვათა შორის იმის მაჩვენებელი არის, რომ ჩვენი საქმე სამართლიანია და სამართლიან საქმეში, ბოლოს და ბოლოს გავიმარჯვებთ. ზოგი ერთნი თითქმის სასოწარკვეთილებამ გაიტაცა. ისინი, ვინც არ იცნობენ სამხედრო მოქმედებას და სამხედრო მოქმედებას მხოლოდ მსხვერპლით სინჯავენ, ფიზიკურად, როდესაც გაიგებენ, რამდენი კაცი მოკლეს, იმათ სასოწარკვეთილება იტაცებს, მაგრამ ვინც უფრო ღრმად ჩაიხედავს საქმეში ვინც გაითვალისწინებს იმას, თუ რა აღფრთოვანება გამოიწვია ამ ქურდულმა ავაზაკურმა თავდასხმამ, ის რასაკვირველია მიხვდება, რომ სწორედ დღეს იწყება ის საათი, როდესაც გამარჯვება ჩვენს მხარეზე გადმოდის, თუ წინად ჩვენი რაზმი ყოველთვის რყევაში იყო, სულერთია სადაც უნდა წაგვეყვანა, დღეს ეს რყევა სრულად არ არის და დღეს, როდესაც ჩვენ ვიწვევთ 20 კაცის ნაცვლად მოდის 30, რომელთაც კარგად იციან, რომ დღეს ისინი სალხინოდ არ მოდიან, არამედ საბრძოლველად და თუმცა ბევრმა მათგანმა იცის, რომ ბევრი მათგანი იქნება ველარ დაბრუნდეს თავის სახლში, ისინი მაინც დიდის აღფრთოვანებით მიდიან ამ საპასუხისმგებლო საქმეზე, რადგანაც მათ კარგად იციან, რომ თავიანთი სისხლით, თავიანთი სიცოცხლით საქართველოს დემოკრატიას და საზოგადოდ დემოკრატიას იცავენ. და აი, სწორედ დღეს, როდესაც ერთის მხრივ ჩვენს რაზმს უკვე პოზიცია უჭერია და მეორეს მხრივ ახალი რაზმი იგზავნება იქით, მე მინდა გითხრათ შემდეგი:

მე ვიცი რომ ჩვენი ჯარი და ჩვენი სახალხო გვარდია კარგად იბრძოლებს. მაგრამ მე მინდა ისიც დავიჯერო, რომ მთელი საზოგადოება განსაკუთრებით ის საზოგადოება, რომელსაც წარმოადგენენ ბ. ვეშაპელი და გაბაშვილი, ამ ჩვენს ბრძოლაში სავსებით მხარს დაგვიჭერენ (ვეშაპელი—წამოვალთ). თოორემ მე მახსოვს მოქალაქენო, ბათომის ეპოპეია და სწორედ ბათომის ეპოპეიაში ჩვენ დავმარცხდით, არა იმიტომ, რომ ჩვენ სრულიად მოუმზადებელნი და სუსტნი ვიყავით, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი საზოგადოება ძალიან გულგრილად შეხვდა ამ ომს. აღდგომის დღეს, როდესაც ჩვენს ფრონტზე ჩვენი მებარგულენი რაეის სანგრებში იწვნენ თითქმის არავის გახსენებია ამ ფრონტის ბედი, გარდა ქუთაისის ქალთა საზოგადოებისა და ნახალოვკის მუშებისა.

როდესაც დღეს აქედან გავდივარ ვითხოვ, რომ ეს საზოგადოება, რომელიც პირდაპირ მონაწილეობას ვერ იღებს ამ ბრძოლაში, მაგრამ რომელსაც სწამს ამ ბრძოლის სიმართლე და დემოკრატიის გამარჯვება,—ჩვენ ვინც ამ ასპარეზზე მივდივართ, არ დაგვივიწყონ და იმედია მთელი თავისი შეძლებით, მთელი თავის ძალღონით მხარს დაგვიჭერენ (ვაშა! ტაში) და თუ ასეთი ერთსულოვნება იქსება, როგორიც თქვენ გამოხატეთ აქ და ყოველი ჩვენგანი შეძლებისამებრ მსხვერპლს გამოიღებს: ზოგიერთს თავისი სისხლით შეუძლიან სამშობლოს დაცვა, ზოგიერთს თავის თანაგრძნობით, მაშინ მე მწამს ამხანაგებო, რომ ეს ამართული წითელი დროშები, რომელსაც თქვენ გვატანთ ჩვენ, გამარჯვებულნი აქ ჩამოგიტანთ თქვენ. (მქუხარე ტაში.) მთელი დარბაზი ფეხზე ადგომით და განუწყვეტელი ტაშის ცემით აცილებს ვ. ჯუღელს.

იოსებ გობეჩია (ს.-რევ.) ფრაქციისა და პარტიული ყრილობის სახელით აცხადებს, რომ მთელი პარტია დიდი ნდობით ეპყრობა მთავრობას და როგორც ერთი კაცი გამოვა ქვეყნის დასაცავად.

ახვერდოვი (მუსულმანი). მე მეგონა, რომ 1905 წლის ცეცხლი და ორ მეზობელ ერის შორის სისხლის ღვრა მესამე პირის წყალობით იყო გამოწვეული, მაგრამ დღეს მე დავრწმუნდი, რომ შემცდარი ვიყავი.

დეკლარაციაში ჩვენ განვაცხადეთ და ეხლა საქმით დაგიმტკიცებთ, რომ ჩვენ გეხმარებით თქვენ მთელი ჩვენის ძალღონით (ძლიერი ტაში). ასეთი განწყობილება ქართველებსა და თათრებს შორის იყო ყოველთვის. უწინ ქართველები მუდამ ეხმარებოდნენ და იცავდნენ მეზობელ თათრებს მტრისაგან და თათრებიც ამითვე უპასუხებდნენ ხოლმე. მოვიგონოთ თუნდაც როგორ იბრძოდნენ თათრები ბორჩალოში ალექსანდრე ბატონიშვილის დახმარებით და როგორც შემდეგ იგივე ბორჩალოს თათრები ქართველებთან ერთად ებრძოდნენ ტფილისში ერთმორწმუნე სპარსელებს. ეს ტრადიცია დაცულია: უკვე შედგა ბორჩალოში რაზმი მუსულმანთა და იგი გამოვა საქართველოს მტრებთან საბრძოლველად (ტაში).

ვისთვისაც ძვირფასია ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა, ის შეებრძოლება ამ დამოუკიდებლობის მტრებს მუსულმანებს ეს კარგად ესმით და ისინიც ებრძოლებიან საქართველოს დამოუკიდებლობის მტერს (ტაში). მუსულმანებს კარგად აქვთ შეგნებული საქართველოს მტრებთან ბრძოლის საჭიროება და ისინი მთელი თავის ძალღონით დაიცავენ თავის სამშობლოს (ძლიერი ტაში).

მ. მაჩაბელი (დამოუკ. ნ-დ.) აცხადებს, რომ ყველა, განურჩევლად მიმართულებისა, როგორც ერთი კაცი, დაიცავს საქართველოს და მის მთავრობას, ისინიც კი, ვისაც ხომერიკმა მიწები ჩამოართვაო.

დაილიდი (ელინთა წარმომ.) აცხადებს, რომ საქართველოში მცხოვრები ელინები მხარს უჭერენ მთავრობას და არ დაიშურებენ ძალ-ღონეს საქართველოს დასაცავად.

სამხედრო მინისტრი **გრ. გიორგაძე** მოქალაქენო! მას შემდეგ, რაც პარლამენტმა თავისი სურვილი წარმოსთქვა და ეს სურვილი აქ მოვისმინეთ, მე, თამამად შემიძლია გადავსცე იმ ჯარს, რომელიც ჩვენი საზღვრების დასაცავად მიდის,—რომ მთელი ქართველი ერი, მთელი დემოკრატია მასთან არის და მხარს დაუჭერს მას, ამ მძიმე პირობების დროს, რომელიც დღეს არსებობს (ძლიერი ტაში).

დამერწმუნეთ, რომ ამ ახალგაზრდა ჯარმა ამ სამი დღის განმავლობაში დაამტკიცა, რომ მას შეუძლიან თვისი მკერდი გაუშვიროს მოწინააღმდეგე ტყვიას. ეს დაამტკიცა მან მით, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ სამი დღის განმავლობაში მოღალატურად იმყოფება აუტანელ პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ ის ჩავარდა ისეთ პირობებში, რომ სხვა ამ პირობებს ვერ აიტანდა და დაიღუპებოდა, მან გაარღვია წრეები მოწინააღმდეგისა და თავდადებით, ქართველურად (მქუხარე ტაში) გამოვიდა სამშვიდობოს, გამოვიდა იმიტომ, რომ ეხლა ახალი ძალა მოიკრიბოს. ჩვენი ჯარის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ, თუმცა ამ ჯოჯოხეთურ პირობებში იყო და ბევრიც დაიღუპა, მაგრამ არც ერთს ზურგი მტრისათვის არ უჩვენებია (ძლიერი ტაში). ეს უტყუარი საბუთი არის, რომ ჩვენი რეგულიარული ჯარი, ჩვენი სახალხო გვარდია, ჩვენი მუშები, დღეს რომ ერთად გაემგზავრნენ საზღვრების და დამოუკიდებლობის დასაცავად, შესძლებენ თავისი მოვალეობა შეასრულონ პირნათლად სამშობლოს და თავის დემოკრატიის წინაშე. ეს ჩვენი ხმა, ეს თქვენი გამოძახილი არის ზნეობრივი ძალა, რომელიც ფიზიკურ ძალასთან ერთად შესძლებს დაიცვას ჩვენი თავისუფლება, და დამოუკიდებლობა.

მთავრობის მოხსენების შესახებ რეზოლიუცია შემოაქვს ს.-დ. ფრაქციას, რომელიც ჩვენს გაზეთში გუშინ იყო მოთავსებული.

გერმანული პრესის ცნობები.

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო.)

რეიჰსტაგი.

რეიჰსტაგის პრეზიდენტმა ფეირენბახმა რეიჰსტაგის დეპუტატებს აუწყა, რომ დროებითი ზავის გაგრძელების და ზავის წინასწარ მოლაპარაკების გადადების გამო აუცილებელს საჭიროებას არ წარმოადგენს რეიჰსტაგის მოწვევა.

დროებითი ზავი.

დეკემბრის 15 დროებითი ზავის ინტერნაციონალურ კომისიის სხდომაზე გერმანიის მიერ აღძრული იყო საკითხი განეხილათ მეორეთ თუ რა საბუთით წაიყვანეს ტყვეთ გერმანელი ჯარისკაცები იმ ადგილებიდან, რომელიც დასცალა გერმანიის ჯარმა დროებითი ზავის ჩამოგდების შემდეგ. კომისია მოითხოვს შეცდომით დატყვევებულ ჯარისკაცთა განთავისუფლებას.

გერმანული პრესა, დეკემბრის 17. ჰოლანდიური გაზეთი "ფატერლანდი" იუწყება, რომ ე—ლაში და შაპელში ბელგიელებმა უწესოება მოახდინეს.

მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოების სახელმწიფო კონფერენციამ განიხილა სახალხო კომისარის მოხსენება. მომხსენებელმა სასტიკად გააკრიტიკა საბჭოს

მოწოდება

ამხანაგებო და მოქალაქენო! მოხდა ის, რასაც ყოველთვის ვერიდებოდით: სომხეთის რესპუბლიკამ მისი მთავრობისა და პარლამენტის დასტურით ომი გამოგვიცხადა და უკვე რამოდენიმე დღეა სისხლი იღვრება.

სომხების ჯარი ვერაგულად დაეცა ჩვენს საზღვრების მცირე რიცხოვანს დარაჯებს და ამოხოცა.

ჩვენმა მთავრობამ და პარლამენტმა ყოველი ზომები მიიღო თავიდან აეშორებინა ორ მეზობელ ერთაშორის სისხლის ღვრა, მაგრამ დაშნაკციუთუნის პარტიისა და სხვა ავანტიურისტების წყალობით ამ გულწრფელმა ცდამ ამაოდ საიარა.

საქართველომ რევოლიუციით მოიპოვა თავისუფლება და მშვიდობიანი ცხოვრება, მაგრამ სომხები ცდილობენ მოგვისპონ ეს ყოველივე და საბედისწერო ნაბიჯები უკვე გადასდგეს.

ამხანაგებო! ყოველს ჩვენგანს ევალება დაუყოვნებლივ გამოეხმაუროს ჩვენს მთავრობას და პარლამენტს და თავისი სიცოცხლეც გასწიროს სამშობლოს დასაცავად.

უკვე ამდგარია მთელი საქართველო. უკვე მოდიან ჩვენს დედა-ქალაქში მებრძოლნი და ბრძოლის ველზე მიეშურებიან. პირველი ეშელონი ჩვენი ამხანაგებისა უკვე წავიდა სახალხო გვარდიასთან ერთად და სხვები კიდევ ემზადებიან.

ამხანაგებო! სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის გვარდიის შტაბი მოგიწოდებთ ყველას დაგვეხმაროთ რითაც კი შეგიძლიათ, როგორც ფრონტისთვის, აგრეთვე ქალაქის დაცვაშიაც.

პარტიის ყველა წევრს ევალება ყოველ დღე შემოვიდეს ჩვენს პარტიულს კლუბში (ლორის მელიქოვის ქ. № 1) და დაგვეხმაროს ორგანიზაციის მოწყობაში.

აქვე მიიღება ყოველგვარი წირულება ჩვენ მებრძოლთა სასარგებლოდ.

ამხანაგებო, ჩაეწერეთ ჩვენი დედა-ქალაქის ტფილისის დამცველ რაზმში!

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის გვარდიის შტაბი.

P. S. მივიღეთ შემოწირულება მასწავლ. ქალ. **ლიზა სულხანიშვილისაგან 5 მან.** და მიხეილ გიორგის ძე **იანვარაშვილისაგან 10 მან.** რისთვისაც შტაბი მათ მადლობას სწირავს.

შტაბი.

აღმასრულებელ კომიტეტის მოხსენება მომხსენებელმა სახალხო მინისტრმა აღნიშნა, რომ მთავრობა ემყარება მთელი სახელმწიფოს ხალხის ფართო წრეების ნდობაზე ისე, როგორც გერმანიის არც ერთი წინანდელი მთავრობა და მთელი ქვეყნის არც ერთი მთავრობა. აღმასრულებელ საბჭოსთან მოქმედების შეთანხმება ყოველთვის შესაძლებელი არ იყო. ბერლინის აღმასრულებელი საბჭო ახლა უქმდება.

სოლფის გადადგომა.

სოლფის თხოვნა მისი თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ მიღებულ იქნა. მაგრამ სოლფი აღმასრულებელ საბჭოს თხოვნით დარჩება თავის თანამდებობაზე ვიდრე მის მოადგილეს ვერ იშოვნიან.

ფრანგული პრესის ცნობები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

საფრანგეთის სენატში

საფრანგეთის სენატს საზეიმო სხდომა ქონდა ელზას-ლორენის საფრანგეთთან შემოერთების გამო. დეკემბრის 17 სხდომის გახსნისას თავმჯდომარემ მოაგონა სხდომას, თუ რა სიხარულით შეეგებნენ მცხოვრებნი პრეზიდენტს ბეტცსა და სტრასბურგში.

პრეზიდენტის მოკვლა

მოჰკლეს პორტუგალიის პრეზიდენტი სიდონიო პაის, მის ადგილს დაიჭერს სამხედრო მინისტრი კანტო კასტრიო.

საზავო დელეგაცია

„ტემსი“ იუწყება, რომ საზავო კონფერენცია გაიხსნება იანვრის პირველ ნახევარში. კონფერენციის გახსნის დღე ჯერ არ არის გამორკვეული.

ახალი ამბავი

◆ **სომხის ტყვების ჩამოყვანა** ოთხშაბათს, დეკემბრის 18-ს ტფილისში ჩამოიყვანეს სომხების ტყვეები რიცხვით 60 კაცი. მათ შორის 40 სამხედრო ტყვე სადახლოსთან ბრძოლის დროს დატყვევებულნი. ეს ტყვეები სომხეთა მეოთხე პოლკის ჯარის კაცები არიან. ამ პოლკს ჰმეთაურობს ტფილისის მცხოვრები სომეხი პოლკოვნიკი მირიმანოვი, ტყვეების რიცხვში ორი ოფიცერია, ერთი რუსი—გვარად ერკომსკი. მათის თქმით ამ ბრძოლის დროს სომხების მეოთხე პოლკს ძლიერ დიდი ზარალი მოსვლია. 20 სომეხი ტყვე ჩამოიყვანეს სოფელ მამაიდან. ისინი თურმე საქართველოს წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდნენ. მათ შორის ერთი ექიმი და ერთიც ტფილისელი სტუდენტია.

◆ **სამხედრო მინისტრის ბრძანება** დეკემბრის 16-ს სამხედრო მინისტრმა შემდეგი ბრძანება გასცა რესპუბლიკის ჯარების მიმართ: საომარ ასპარეზზე მყოფი ლაშქარი სხვა და სხვა მიზეზების გამო მოკლებულია ცხელ საჭმელებს, რომ ასეთმა შემთხვევებმა არ ავნოს მეომრების ჯანმრთელობას, ვბრძანებ: საქართველოს ჯარის მომრიგებლის უფროსის მიერ ამა წლის ივლისის 24-ის ბრძანებით დამტკიცებულ ნახევარ მისხალ ჩაის და 8 მისხალი შაქრის რაოდენობა გადიდებულ იქმნეს ომის ასპარეზზე მყოფ ლაშქრისათვის ჩაისა სამმეოთხედ მისხლამდის და შაქრისა 12 მისხლამდის. განსაზღვრა ომის ასპარეზისა ზურგის ჯარისაგან, მიენდოს ლაშქრის მთავარ სარდალს.

◆ **თათრული წარმოდგენა.** საარტისტო თეატრში მზადდება წარმოსადგენად—მუსულმანთა დრამატიულ საზოგადოების „იტტიხად“-ის კომიკ მსახიობის ა. ალიმ ბაროვის საბენეფისოდ ცნობილი ისტორიული დრამა ნადირ შახი-აფშარი.

◆ **„ჰორიზონი“ და „აშხატავორი“** გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით ტფილისში დახურეს სომხური გაზეთები „ჰორიზონი“ და „აშხატავორი“.

◆ **დაჭრა.** სომხებთან ბრძოლის დროს მძიმედ დასჭრეს სტუდენტი ნიკო კეცხოველი.

◆ **ქალთა საზოგადოებაში.** ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოების გამგეობამ დეკემბრის 18 თავის სასწრაფო კრებაზე იქონია მსჯელობა დღევანდელ მომენტზე და დაადგინა: 1. მთელი წმინდა შემოსავალი თავის საჩაიე „ძმურ ნუგეშისთვის“ გადაეცეს მთავრობას ომის საჭიროებისთვის. 2, მოწვეულ იქმნას კვირას, დეკემბრის 22 დილის 10 საათზე „ძმურ ნუგეშში“ ქართველ ქალთა საზოგადო კრება ომის საჭიროებისთვის შეკავშირებულ სხვა და სხვა საკითხების განსახილველად.

◆ **მისალმება საქართველოს ჯარს და გვარდიას.** საქართველოს პარლამენტმა შემდეგი მისალოცი დეპეშა გაუგზავნა ჩვენს ჯარებს და გვარდიას: საქართველოს პარლამენტი სალამს მიუძღვნის საქართველოს რესპუბლიკის ჯარს და სახალხო გვარდიას, რომელნიც თავიანთი სისხლით იცავენ საქართველოს რესპუბლიკას ვერაგი მტრის თავდასხმისაგან.

◆ **სამხედრო წესები თელავში.** შინაგან საქმეთა სამინისტროს თელავიდან ატყობინებენ, რომ დეკემბრის 13-ს იქ შესდგა სამხედრო საველე სასამართლო, რომელმაც განიხილა დაჭერილ ავაზაკების საქმე. გასამართლებულ იქმნა 12 ყაჩაღი. მათ შორის ოთხ ავაზაკს: ესტ. გულუას, ილ ფირალაშვილს, ლ. ლეჟავას და ს. ლომაშვილს სასამართლომ დახვრეტა გადაუწყვიტა. დანარჩენი 8 კაცი გადაეცემა საზოგადო სამოქალაქო სასამართლოს.

◆ **„კავკაზსკოე სლოვო“-ს დაკეტვა.** ტფილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით გაზეთი „კავკაზსკოე სლოვო“ დახურულ იქმნა სამხედრო წესების მოხსნამდე გაზეთის რედაქტორი ანანოვი დააპატიმრეს.

◆ **ქართველი სტუდენტები ჯარში.** დეკემბრის 17-ს სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგა ამ უნივერსიტეტისა და პოლიტეხნიკუმის ქართველ სტუდენტთა შეერთებული კრება. კრებაზე ერთხმად დაადგინეს ყველა სტუდენტი დაუყოვნებლივ ჩაეწეროს ჯარში და გაემგზავროს ბრძოლის ასპარეზზე. სტუდენტებმა დაადგინეს აცნობონ ეს გადაწყვეტილება მთავრობას და ელიან მის მაღალ განკარგულებას. კრებაზე დიდი ენტუზიაზმი იყო. სტუდენტმა ქალებმა ითხოვეს: ჩვენც ჩაგვწერეთ და დაგვაკისრეთ სამშობლოსათვის თავის განწირვაო. მათ განაცხადეს ტფილისის დაცვის სურვილი.

◆ **სომეხი მილიციონერები.** გუშინ ტფილისის ყველა კომისარიატებში სომეხ მილიციონერებს იარაღი აჰყარეს.

◆ **ჩვენი თანამშრომლები პოზიციისაკენ.** ს. ფაშალიშვილი, ჯვებე იოსელიანი და სხვა ჩვენი გაზეთის თანამშრომლები ჯარისკაცებად პოზიციაზე მიემგზავრებიან.

◆ **ცნობების შესახებ.** ტფილისისა და ქუთაისის სახაზინო პალატების, გაუქმების გამო, იმ ცნობების მისაღებად, წინად პალატები რომ იძლეოდნენ, უნდა მიმართონ პირადად ან ფოსტის საშუალებით, ტფილისში ხსენებული პალატების მაგიერ დაარსებულ გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის სამმართველოს, ხოლო დანარჩენი ცნობების მისაღებად ადგილობრივ ხაზინებს და გადასახადთა ინსპექტორებს.

◆ **სავალდებულო დადგენილება.** ტფილისის გენერალ-გუბერნატორმა მაზნიაშვილმა შემდეგი სავალდებულო დადგენილება გამოსცა: ჩემდამი რწმუნებულ საგენერალ-გუბერნატოროში აღკრძალულია ბეჭდვა და გაყიდვა იმ ცნობებისა, რომელნიც გამომდინარეობს კერძო აგენტებისა და წყაროებისაგან; ნება დართულია ბეჭდვა და გაყიდვა საქართველოს ოფიციალურ-დეპეშათა სააგენტოს დეპეშებისა.

ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს დატუსაღებულ იქნება 1 წლით და 6 თვით ან დაჯარიმებულ იქმნება 10.000 მანეთით.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში,** სახალხო უნივერსიტეტის ქართული განყოფილების მუშაობა ნაძალადევში თანდათან სასურველ ნიადაგზე მკვიდრდება, ლექტორები ხალისით ეკიდებიან თავის მოვალეობასა. მსმენელთა რიცხვი მატულობს. ამ ჟამად 22 ლექტორი მუშაობს; ამ დღეებში მეორე სემესტრისათვის ლექტორთა კოლეგიაში შევიდა ამხ. სერგ. რობაქიძე 1 სამშობლოს აღწერა 1. დ. შენგელაია 1 ხელოვნება. და სხვები. კვირაში 10 ლექცია იკითხვის; კვირაში ერთხელ იმართება შეერთებულ აუდიტორიების თანადასწრებით პოლიტიკური ან კულტურული მნიშვნელობის საღამო. ბუნდოვანი სურათებიანი მოხსენებები და ლიტერატურული საღამოები, მოკლე ხანში ამხ. დ. ონიაშვილის თავმჯდომარეობით განზრახულია საქართველოს უკანასკნელ მეფის გასამართლება ნ. ბარათაშვილის პოემის „ბედი ქართლისა“ მიხედვით. მაცადინობა დაიწყო მუსიკალურსა და კოპერაციის შესასწავლ სექციებში.

შექმნილ მდგომარეობის გამო ყოველ დღე ლექციების დასაწყისში ლექტორი აუდიტორიას აცნობებს და მომენტს აწვდის მსმენელ ფრონტიდან მოსულ ცნობათა, რათა წესი და მყუდროება დაცული იქნეს ჩვენ მებრძოლთა ხელის შესაწყობად.

◆ **სახელოვნო კლუბში** მუშ. დემ. კლ. არს. ქარ. წ. მართველი წ. მართავს წარმოდგენას მსახ. ვ. ფრანგიშვილის მონაწილეობის. წარმოდგენილი იქნება. და ძმა დრ. 5 მოქ. და 6 სურ. ვ. გუნიასი. ბილეთების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს სრულ 7 საათზე.

◆ **საღამოს გადადება.** ტფ. რეალ. სასწავლებლის ქართველ მოწაფეთა ორგანიზაცია ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ უფროს კლასების მოწაფეთა ჯარში ჩაწერის და ფრონტზე გამგზავრების გამო ლიტერატურული წრის სასარგებლოდ 21 დეკემბრისათვის განზრახული საღამო ველარ შესდგება. მათ, ვისაც ბილეთი ნაყიდი აქვთ, შეუძლიანთ თუ მოისურვებენ დაიბრუნონ უკან ფული, ორგანიზაციის თავმჯდომარის ამხანაგის ზურაბიშვილისაგან.

◆ **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო თ. მთავრიშვილის ამხანაგობისაგან გამოცემული ახალი წიგნები: 1) საქართველოს ისტორია, 360 გვერდიანი მოზრდილი წიგნი შედგენილი ილია ფერაძის მიერ ფასი უყდოთ 8 მანეთი. 2) „ვეფხის ტყაოსანი“ რუსთაველისა ფასი 7 მანეთი. 3) ქიმიის სახელმძღვანელო საშუალო სასწავლებლებისათვის. პროფ. კუკულესკოსი. თარგმანი ფ. მეთანელისა ნახატებით—160 გვერდიანი ფასი 7 მანეთი. წიგნები კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი და სუფთადაა გამოცემული.

◆ **სტუდენტთა სასადილო და სოც. დემოკრ. ცენტრ. კომიტეტი.** ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა გამგეობის სტუდენტთა კოოპერატიულ სასადილოსათვის ჰქონდა ბინა ნაშოვნი გოლოვინის პროსპექტზე. სპეციალურმა კომისიამ სასადილოს მოწყობას უკვე შეუდგა და ნაწილი ავეჯეულობისა უკვე ბინაზე გადაიტანა ამ დროს ბინის საკითხში ჩაერია სოც. დემოკრ. ცენტრ. კომიტეტი, რომელსაც განუზრახავს ამ ბინაზე თვისი სტამბის გადატანა და სტუდენტობას აუკრძალა ამ შენობაში სასადილოს მოწყობა. ამის გამო ტფილ. სახელმწ. უნივერ. სტუდენტთა კრებამ დაადგინა პროტესტი გამოუცხადოს სოც. დემოკრ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

◆ **მასწავლებელთა გადაწყვეტილება.** დეკემბრის 18-ს მოხდა საგანგებო კრება ქალაქის პირველდაწყებითი სკოლების ქართველ მასწავლებელთა. საკითხი შეეხებოდა დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას. ერთხმად მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლუცია: „ჩვენ, სახალხო სკოლის ქართვ. მასწავლ. განურჩევლად მიმართულებისა, ვითვალისწინებთ რა დღევანდელ პოლიტიკურ მომენტს, მზადა ვართ შევწიროთ მთელი ჩვენი ძალღონე იმ მოვალეობას, რასაც აკისრებს ყოველ მოქალაქეს შექმნილი მდგომარეობა. ვთხოვთ მთავრობას დღეიდანვე მიგვიღოს სრულ თავის გაკარგულებაში, რათა საჭიროების მიხედვით მიგვიწვიოს სამუშაოდ. არ მოვერიდებით არავითარ საქმეს, გაუწევთ ყოველნაირ დახმარებას რა სახითაც უნდა გამოიხატოს იგი ამის შემდეგ კრებამ გადასწყვიტა ჯერჯერობით შეაგროვოს თავიანთ შორის ერთი დღიური შემოსავალი ჯარის საჭიროებისათვის. არჩეულ იქმნა ბიურო, რომელსაც ექნება მუდმივი კავშირი მთავრობასთან და რომელიც მოაწესრიგებს ყოველგვარ საქმეს, შეაგროვებს შემოწირულებებს და სხვა. ამავე ბიუროს დაევალა მიმართოს მოწოდებით სოფლის მასწავლებლებს, რათა მათაც მიიღონ ფართო მონაწილეობა ამ საქმეში.

◆ **ქართულ სატეხნიკო საზოგადოებაში.** დღეს, 20 დეკემბერს, ფრეილინის ქუჩაზე, № 11, საღამოს 6 საათზე შესდგება საერობო და სამუნიციპალო სექციის დამაარსებელთა კრება.

სოფლად და ქალაქად

კახეთი.

◆ დეკემბრის 8 დიდი თოვლი მოვიდა და ყინვები დაიჭირა, რაიც ძრიელ ხელს შეუშლის ხვნა-თესვას.

◆ შემოდგომის გვალვის გამო გუთანი ვერვინ გაიტანა და მხოლოდ ამ 2-3 კვირის წინედ დაიწყეს ხვნა და ცოტა ხანში ვერვინ მოასწრო. ბევრს მოხნული ისე დარჩა რომ დათესა ველარ მოააწრო. თუ ყინვები გასტანა და თოვლი არ დადნა გაზაფხულამდე დარჩება და მაშინ-კი ხელმეორედ მოუნდება დახნულ მიწას გუთნის გადატარება.

თელავი.

◆ თელ. მაზრ. გენ. გუბერსატორის დადგენილებით ქალაქის მცხოვრებთ 6 საათის შემდეგ აკრძალული ჰქონდათ გარედ გამოსვლა. ეხლა მისივე განკარგულებით ეს დრო 10 საათამდე იქნება გაგრძელებული მხოლოდ როგორც გადმოგვცეს სამხედრო წესებიც მალე იქნება მოხსნილი.

— ერობის გამგეობამ მოწერილობა მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან, რომელიც შეეხება საერობო დაწესებულებათა ეხლავე მიღებას, სხვათა შორის ერობის ხელში გადადის სოფლის სახალხო სკოლები.

— ერობის გამგეობამ სოფლის მასწავლებლებს ცირკულიარული მიწერილობა გაუგზავნა, ატყობინებს რომ ამიერიდან ერობა გაუწევს შესაფერ მზრუნველობას სახალხო სკოლას და მასწავლებლებს და სთხოვს მიაწოდოს სხვა და სხვა სკოლის შესახებ სასტატისტიკო ცნობები.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

ამხანაგების კრება სომხეთთან ომის გამო.

ოთხშაბათს, დეკემბრის 18-ს, პარტიულ კლუბში გაიმართა საზოგადო კრება. დარბაზი მთლად გაჭედილი იყო ხალხით. კრება გახსნა ამხ. **სამ. ფირცხალავამ,** რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობამ ყოველ ღონეს მიჰმართა სისხლის ღვრის თავის ასაცდენად. მოპირდაპირეებმა ეს არ ინდომეს და ეხლა მახვილი გადასწყვეტს საკითხსაო.

შემდეგ ილაპარაკა ამხ. **გიორგი ლასხიშვილმა,** რომელმაც სთქვა: დღევანდელი ბრძოლა არის არა მარტო ბრძოლა ჩვენი ტერიტორიისათვის, არამედ ბრძოლა ჩვენი რესპუბლიკისა, რევოლიუციის მონაპოვარია, დემოკრატიულ წეს-წყობილების დაცვისა და ჩვენი დედა-ქალაქისათვისაო. ხალხი ყველა ორატორებს ტაშით ჰხვდებოდა.

შემდეგ ამხ. **სიმ. მდივანმა** ვრცელი მოხსენება წარუდგინა კრებას სომხეთის მდგომარეობის შესახებ, როგორც საქართველოს წარმომადგენლად ერევანში ნამყოფმა.

ბოლოს ამხ. **სამს. დადიანმა** მოუწოდა რაზმელებს აესრულებინათ თავიანთი მოვალეობა და ერთგულ დარაჯად დასდგომოდნენ სამშობლოს და რესპუბლიკას.

კრების ბოლოს ამხ. გიორგი ლასხიშვილმა რამდენიმე საინფორმაციო ცნობა მიაწოდა მსმენელებს ომის შესახებ. მიღებულ იქმნა რეზოლიუცია: დაეხმარონ ყოველის ღონით მთავრობას, ჩაეწერონ ამხანაგები ჯარში, დაიცვან შინ წესიერება და იმედს გამოსთქვამენ, რომ მუხანათ მტერს ქედს მოადრეკინებენ სამართლიანობის და დემოკრატიზმის წინაშე.

კრება გაიავდა საღამოს 10 საათზე.

—

საგუბერნიო კომიტეტის კრება კვირას, დილის 11 საათზე დანიშნულია საქ.-სოც. ფედ. სარ. პარტიის ტფილისის საგუბერნიო კრება.

—

მუშათა კავშირის კრება. დღეს, დეკემბრის 20 გაზ. „სოციალ-ფედერალისტის“ რედაქციის ბინაზე დანიშნულია საღამოს 6 საათზე მუშათა კავშირის კრება, რომელზედაც განსახილველია მრავალი საკითხი. ამხანაგებს ვთხოვთ დაესწრონ ამ კრებას.

აღმოსავლეთ საქართველოს ქართველ მასწავლებელთა საყურადღებოდ

სკოლა არის მთავარი ძალა ჩვენი საზოგადოებრივ - სახელმწიფოებრივი ცხოვრების კეთილ მოსაგვარებლად. დიდ იმედს ამყარებს საზოგადოება სკოლის ნაყოფიერ მუშაობაზე, ბევრს რასმე მოელის მისგან მშობელი, რომელიც არა ნაკლებ უნდა იყოს დაინტერესებული სკოლის ცხოვრებაში. მაგრამ თვით მთავარი მოქმედი—მასწავლებელი ხომ ფრთხილი დარაჯია თავისი მოწოდებით სკოლისა, ახალ თაობის გონებრივ-მოქალაქობრივი სიფაქიზისა. მძიმე არის მასწავლებლის მოვალეობა განსაკუთრებით ახლა—ჩვენი მამულის განახლების და მკვდრეთით აღდგომის დროს.

ცხადია, სიმძიმე მოვალეობისა ბადებს ამ მოვალეობის მტვირთველთა ერთი-მეორესთან დაახლოება-შეკავშირების საჭიროებას.

უნდა დაარსონ აღმოსავლეთ საქართველოს ქართველ მასწავლებლებმა მასწავლებელთა კავშირი, როგორც ეს არის დასავლეთ საქართველოში; ამ კავშირს, დამერწმუნება ყველა პედაგოგი, ბევრი რამ ექნება გასაკეთებელი განსაკუთრებით აქ —აღმოსავლეთ საქართველოში.

კავშირს შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს განათლების სამინისტროს მუშაობაში და მით ხელი შეუწყოს ჩვენი სკოლის აყვავებას.

არა მგონია ვინმე იყოს წინააღმდეგი ამ აზრისა, მხოლოდ საჭიროა დაუყოვნებლად ამ აზრის ხორც შესხმა. უნდა შევიკრიბნეთ ისეთ დროს, რომ პროვინციიდან ამხანაგებსაც მივცეთ საშუალება ამ კრების დასწრებისა და საერთო ძალით შევქმნათ ეს აუცილებელი ორგანო—აღმოსავლეთ საქართველოს ქართველ მასწავლებელთა კავშირი.

ქ. გაგუა.

სამინისტროებში

იუსტიციის სამინისტრო

ძეგვის ხიდის აფეთქების გამო

ძეგვის ხიდის აფეთქების საქმე დანიშნულია გასარჩევად 21 დეკემბერს საგანგებო სასამართლოში.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორად ინიშნება იმავე სასამართლოს წევრი ხარაზოვი.

ნაფიცმსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების შესახებ.

სამინისტროს კანცელარიაში მიიღო პარლამენტის იურიდიული კომისიის მიერ შესწორებული კანონ-პროექტი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების შესახებ.

დუშეთის ამბების გამოძიება

დუშეთის ამბების გამომძიებელმა კომისიამ დაამთავრა მუშაობა და სამინისტროს წარმოუდგინა საქმე 6 ტომად სათანადო მსვლელობის მისაცემად.

სომხების სიმხეცე ყარაბაღში

ადერბეიჯანის მთავრობამ განჯიდან შემდეგი დეპეშა მიიღო:

„ინგლის-საფრანგეთის დელეგაციის მიერ ანდრანიკისა და მუსულმანების გაფრთხილების შემდეგ, რომ მათ შეეჩერებინათ სამხედრო მოქმედება, მუსულმანები მიენდვნენ დიდ სახელმწიფოთა დელეგატებს, დასტოვეს თავიანთი პოზიციები სადაც უმკლავდებოდნენ სომხების შეტევას და თავიანთ სახლებში წავიდნენ. ბანდიტმა ანდრანიკმა ისარგებლა ამით და უბრძანა თავის რაზმს, რომელიც ოსმალელ და ადგილობრივ სომხებისაგან შესდგება, რომ ეს რაზმი უეცრად თავს დასხმოდა და დაეპყრო მეზობლად მდებარე მუსულმანთა სოფლები. იმ ბრძანებაზე ყველა სომხები აღსდგნენ იარაღით ხელში, დაეცნენ მახლობელ მუსულმანთა სოფლებს და მხეცურად ყელებსა სჭრიან ყველას განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა; ასახიჩრებენ გვამებს, ქალებს ძუძუებსა სჭრიან და პირში უდებენ ძუძუმწოვარა ბავშვებს. თავის გასართობად ორი ქალი სრულიად გააშიშვლეს და ისე გაუშვეს. დეკემბრის 9-ს თორმეტ სოფელს ცეცხლი წაუკიდეს. ამ ჟამად ათი ქალი ტყვედ ჰყავთ წაყვანილი. გთხოვთ ჯარები გამოგზავნოთ".

ზანგეზურის მაზრის უფროსი მელიქნამავალიევი. („ადერბ.").

გ. ჩაჩუას საყურადღებოდ

მოქალაქე ჩაჩუავ! წავიკითხე „სახალხო საქმის" 407 №-ში თქვენი წერილი. ზნეობრივად მოვალედ ვრაცხ თავს დაპირებისამებრ გამოგყვეთ სამედიატორო სასამართლოში. გვიან მოგაგონდათ თავის გამართლება, მაგრამ არა უშავსრა.

მხოლოდ თქვენდა საყურადღებოდ უნდა აღვნიშნო, რომ მე ამ ჟამად ვიმყოფები ტფილისში და თქვენს მიერ გამოცხადებული დროს ე. ი. ორი კვირის განმავლობაში არ ძალმიძს წავსდგე სამჯავროს წინაშე. ამისათვის საჭიროდ მიმაჩნია იანვრის 1—15-ზე გაირჩეს საქმე, რადგან ამ დროს განმავლობაში მე ვიქნები ფოთში. და რომ საქმე არ გაჭიანურდეს წინადადებას გაძლევთ: ან ამავე გაზეთის, ან სოც.-ფედ. ფოთის ორგანიზაციის კომიტეტის საშუალებით დამინიშნოთ დრო, რიცხვი და ადგილი სადაც მე გამოვცხადდები.

მოქალაქე ჩაჩუავ! თქვენ საპასუხო წერილს, რომ თვალი გადავავლოთ ბევრი შეიძლება ადამიანმა გიპასუხოს, მაგრამ სამედიატორო სასამართლოს მოვუცდი. თქვენ ბრძანებთ: „**თუ რა ხარჩული უდევს ასეთ თქვენს გამოხვლას ჩემს წინააღმდეგ, ეს კარგად ვიცით; ამას მე კიდეც დაგიმტკიცებთ**" და სხ. (ხაზი ჩემია). თუ რაიმე „საბუთი" გაქვთ, მოქ. ჩაჩუავ, ჩემ წინააღმდეგ გთხოვთ დაუყონებლივ გამოაქვეყნოთ. შეიძლება თქვენ გგონიათ, რომ მე პირადი ინტერესით ვხელმძღვანელობდე თქვენს წინააღმდეგ! არა! მე თქვენს პიროვნებას დაახლოვებით დღესაც არ ვიცნობ. მე ამ შემთხვევაში პიროვნებასთან კი არა მაქვს საქმე, არამედ საზოგადოებრივი საქალაქო ცხოვრების ინტერესთან და კეთილდღეობასთან.

ალ—მა,

ეპიზოდები გამ. პარტიზ. პოლკის ცხოვრებიდან

(შემდეგი)

უცნაური მხედრები კი ვიყავით. შეიარაღებულნი მაუზერებით, ვინტოვკა კარაბინებით და ხელის ყუმბარებით ვისხედით ისეთ ჯაგლაგ ცხენებზე. რომელთან შედარებით დონკიხოტის როსინანტიც რაშად გამოჩნდებოდა. ქუმბაძეს ცხენს აღვირად ერთს მხარეზე ჰქონდა მოკლე თოკი და მე კიდევ ერთ უზანგიან უნაგირზე ვიჯექი.

გოჯა სულ წინ მიდიოდა და თუ მგზავრი ვინმე შეხვდებოდა, დაყენებდა და ვინაობას ჰკითხავდა. ერთს ორღობეს მიუახლოვდით და დავინახეთ ერთი ცხენოსანი მარცხნით მომავალი. ქუმბაძემ და გოჯამ მასთან მიაგდეს თავისი ბედაურები, მე კი ორღობეში შევედი. უცებ წინ ერთი მოხუცი შემომხვდა.

— ვინა ხარ შენ? საიდან მოდიხარ? სად მიხვალ—მივაყარე ზედი-ზედ გულგახეთქილმა მოხუცმა ვერც ერთს კითხვაზე ვერ მიპასუხა და მე ეს საეჭვოდ მივიჩნიე. ვიწრო ორღობეში ერთმანეთთან პირისპირ ვიდექით. მოხუცს იღლიის ქვეშ გრძელ ტარიანი წალდი ეჭირა.

— ეს წალდი რომ მუხლებში მთხლიშოს! გამიელვა აზრმა და შევუტიე:— გადექ განზე, მეთქი.

— ნუ მაშინებ შენი ჭირიმე ბატონო, წაილუღლუღა საბრალო მოხუცმა და მეც მაშინ მივხვდი, თუ რა საშინელს მდგომარეობაში ჩამეყენებია ის უბედური მაუზერი ბუდეში ჩავაგე და ნუ გეშინია მეთქი, დავამშვიდე. ამის შემდეგ გვარიც მოაგონდა თავისი, სოფელიცა და სად მიდის ისიცა. ამასობაში. ჩემმა ამხანაგებმაც გამოარკვიეს გზის მდგომარეობა და ისევ წინ გავსწიეთ.

შუა გზა გავლილი გვქონდა, როდესაც ერთს ტყეში შევედით და სულ უკუნეთ სიბნელეში ჩავინთქენით.— ვინ მოდის? შემოგვესმა უცებ გოჯას ძახილი.

— თითონ ვინა ხარ? შეეკითხა მას რამოდენიმე ხმა.

ჩვენ დავკარით „ბედაურებს" სახრეები (მათრახებზე ცოტა უკაცრაოდ გაბლდით) და მივაგდეთ შეჯგუფებულს ხალხზე ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით რომ ოსმალოეთის მზვერავებს წავაწყდით და მათმა ქართულმა არ გაგვაკვირვა, რადგანაც იქ აჭარლები და ქობულეთლები ერივნენ.

ბნელაში თუთხმეტიოდ თოფიან კაცს მოვკარით თვალი. ჩვენს მივარდნაზე ისინი დაფრთხნენ, თვალის დახამხამებაზე გადაცვივდნენ გზის იქით, ჩაწვნენ ხეებთან და თოფები სასროლად დაამზადეს, მაგრამ სამიოდე კაცმა ვერ მოასწრო გადახტომა და ხელში შეგვრჩნენ, ჩვენც სწორედ ამან გადაგვარჩინა დახვრეტას,—იმათ ამხანაგები ვერ გაიმეტეს და ვერც ჩვენ გვესროლეს.

— კაცო ვინა ხართ? სად მიდიხართო, რომ კიდევ შევეკითხეთ, გამოირკვა, რომ ესენი გურულები იყვნენ ჯარის კაცები ხასაკიოლიდან.

— შიმშილით ვიხოცებით და სოფელში მივდივართ ქადისთვისაო, ძლივს გაგვაგებინეს გზაზე დარჩენილებმა. მაშინ დაუძახეთ ჩაწოლილებსაც და ისინიც ხელ-ხელა ამოვიდნენ საფარებიდან ისეთის ქშენვით, თითქოს ათი ვერსი ურბენიათო.

— უთუოდ გამოპარულები იქნებით, თორემ ასეთი წესით ქადზე სიარული სად გაგონილა? შევუტიე ერთს,—კიდევ, ასეთი წესით ომიც სად გაგონილა?— მომიბრა სიტყვა ცხამავილმა გურულმა.

ბევრი ვეხვეწეთ, დავემუქრეთ კიდეც. მაგრამ უკან ვერ დავაბრუნეთ და ჩვენ, გზას გაუდექით „რომ გადახვდილები"... ხუჭროთაა! მიუხედავათ გამოცდილი ბელადისა, მტერი რომ ყოფილიყო, არც ერთი ცოცხალი არ გადურჩებოდით, მაგრამ ასეთი მოულოდნელი შეხვედრა მოხვეული გზისა და ჯოჯოხეთური სიბნელის ბრალი იყო. ოთხიოდე მათი ამხანაგი უკან გაქცეულიყო და ბევრი უძახეს, მაგრამ მათი ასავალ-გასავალი ვერ გაიგეს.

ჩვენ მშვიდობით ჩავედით ნასაკირალში და მეორე დილით ამბავი მოუტანეთ ჩვენს უფროსს, რომ იქ სამი ათასი გურული იდგა შეიარაღებული.

ათს აპრილს, როგორც წესია მზვერავთა, ჩვენ უკან მოვექეცით ჩვენს ასეულებს, რომელთაც გასწიეს ოზურგეთისაკენ და შუა დღისთვის უკვე ჩაებნენ ბიდეც დიდს ბრძოლაში. სატანეიიდან ბრძოლით მოდიოდა კონიაშვილის ჯარი, ეწერიდან მოხერხებული მანიოვრით, სრულიად მოულოდნელად ჩვენი პოლკის უფროსს ი. გედევანიშვილი ზურგით შემოუარა ოსმალებს და სამი-ოთხი საათის ბრძოლას ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეს ოსმალთა ჯარი, რომ რომ ისინი იძულებულნი შეიქნენ ოზურგეთშივე შესულიყვნენ უკანდახევით და... ერთი საათი კიდევ რომ გაგრძელებულიყო ბრძოლა ისინი ოზურგეთსაც დასცლიდნენ, მაგრამ კონიაშვილმა და გედევანიშვილმა ბრძანება მიიღეს შეჩერებულიყვნენ, დროებით ზავის გამოცხადების გამო.

ამან ძლიერ ცუდად იმოქმედა ნატანებიდან მომავალ ჯარზე და წინანდელ პოზიციებზე დახევა სრულს ლტოლვამდე მივიდა და ეს იყო ჩვენ, მზვერავებს წინ რომ გვხვდებოდნენ ათობით და ასობით ბრძოლის ველიდან გამოქცეული ჯარის-კაცები. ზოგს ფეხზეც გაეხადა, რომ უფრო მარდათ გამოქცეულიყვნენ.

ვერაფერი გზით, ვერცერთი უკან ვერ დავაბრუნეთ.

— ნუ მიდიხართ, ხალხი სულ დაიხოცა. ჩვენ უკანასკნელები წამოვედითო. ერთმა ჩვენი ამხანაგების სრულიად გაწყვეტაშიაც დაგვარწმუნა. ჩვენ გულგახეთქილები გავეშურეთ იქითკენ. გზაში ამხ. ს. ფირცხალავა და ი. სტურუა და რ. ბებიაშვილი შემოგვხვდნენ ეტლით და გვითხრეს დიდი ბრძოლა არისო. ესენი და ამხ. ს. მდივანი ლანჩხუთიდან გამოჰყვნენ ჩვენს ჯარს. ჩვენც ჩვენებისკენ გავეშურეთ და საათნახევარში ვიყავით ჩვენებთან, რომელთაც ზედ ოზურგეთის გადასახედავთან დაეჭირათ პოზიციები. იმ ჯარისკაცის ცნობა ტყუილი გამოდგა, ჩვენებს არათუ არაფერი დაკარგოდათ, ერთი ტყვიის მფრქვეველი კიდეც შეეძინათ. მხოლოდ ყველა სწუხდა იმის გამო, რომ პრ. ვაშაძე და პარტიზანი ბუაჩიძე აღარსად სჩანდნენ. მერე გამოირკვა, რომ ეს ორივე ამხანაგი გმირულად დაღუპულიყო იმ დღეს ბრძოლაში მარჯვენა ფრთაზე და ისიც იმისგამო, რომ ისინი მოხვდნენ იმ ოცდა ათ კაცში, რომელნიც ჩვენებს წინ შეხვედროდათ, როდესაც ისინი ბრძოლის ველიდან გარბოდნენ. ის ჩვენი ყია მყრალი მოამბეც იმათი ჯგუფიდან ყოფილიყო. შემდეგ ამის გამო ასეთს „ადგილობრივ მეომრებს" აღარ ვიკარებდით. ამის შემდეგ მთელი ოცი დღე ვიდექით თუ არა ვცდები, ბრძოლის მოლოდინში და თავზედურ ზვერვაში ვატარებდით პოზიციურს მოსაწყენს და მშიერს ცხოვრებას და ბრძოლას.

სოფლები დაცარიელებული იყო და ამ ხნის განმავლობაში ერთი სოფლის კომისარიც კი არ მოსულა, არ გამოჩენილ.

ერთხელ ამბავი მოგვიტანეს, ვითომ ოსმალები ოზურგეთიდან გაპარვას აპირებენო. იმ ღამით კიდეც რამოდენიმე ადგილას ავარდა ოზურგეთში ცეცხლის ალი. პოლკოვნიკმა გედევანიშვილმა მზვერავებს გვიბრძანა გაგვეგო ამბავი. შევკაზმეთ ჩვენი ბედაურები და თქარათქურით გავეშურეთ ოზურგეთისაკენ. ა. ქუმბაძე ვეღარ წამოვიდა, რადგანაც ის თოკიც დაკარგოდა და სულ უაღვიროდ კი მის როსინანტზე შეუძლებელი იყო ჯდომა,—ვინ იცის საით გააქანებდა, ან სად ჩაიჩოქებდა.

ნახევარ ვერსზე მიუახლოვდით ქალაქს. უფროსმა გვიბრძანა ჩამოქვეითება და ცხენების იქ დატოვება. ცხენებთან სამი კაცი უნდა დარჩენილიყო, მაგრამ არავის არა სურდა უკან ჩამორჩენა. როგორც იყო ბრძანება მხოლოდ სტუდენტი ვუჩტიჩი დაემორჩილა. ამოჩქოლდნენ მზვერავები, კულულაშვილმა, ხვედელიძემ, გ. წერეთელმა და სხვებმა გამიწიეს პროვოკაცია და მეც დამტოვეს ცხენებთან. ერთიც დაგვიმატეს და სამნი დავრჩით. სხვები კი ფეხაკრეფით წავიდნენ წინ, რადგანაც ყოველგან ოსმალთა დარაჯები გვეგულებოდნენ. ვუჩტიჩი (სოხუმიდან ჩამოყვა რამოდენიმე სტუდენტთან სანაიას და სამუშიასა) დიდხანს ბუზღუნებდა:—ეს რა უბედურებაა! იმისთვის მოვედი აქ, რომ ცხენები გამწყესიოო! გავიდა გძელი ნახევარი საათი, მაგრამ ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა. უცებ იგრიალა ზედი-ზედ სამმა ყუმბარამ, ზედ მოყვა მაუზერების და ვინტოვკების ტკაცა-ტკუცი და ისევ სამარისებური სიჩუმე.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ჩვენები სიცილით და ხტუნაობით მოგვიახლოვდნენ, შევსხედით ცხენებზე და უკანვე დავბრუნდით. ნადავლიც მოიტანეს: ქუმბაძისთვის თოფი და ერთი შიბაქი, რომელიც მ. წე-მა ჩიბუხათ გაიკეთა.

თურმე გზაში არავინ შემოხვდათ. ასე შევიდნენ შიგ ბაზარში პირველ დუქნამდე, რომელიც აკლებული იყო. ქალაქშიაც სანთლის შუქზე ლა მოსჩანდნენ თითო-ოროლა კაცები, ასე რომ ვერ გამოარკვიეს იყვნენ ოსმალები ქალაქში, თუ მართლა გაიპარნენ. ამის გამოსარკვევად იყო, რომ ყუმბარები და ტყვიები დაუშინეს, მაგრამ ოსმალებმა გასაოცარი თავდაჭერილობა გამოიჩინეს და ამ თავდასხმას არ გამოეხმაურნენ.

ერთხელ პარლამენტიორები მივედით ერთმანეთთან. ოსმალების ოფიცრებს ქართული რუქა ჰქონდათ და ერთი მათგანი ფრანგულად გვასწავლიდა,—თქვენ ისტორია არა გცოდნიათ; კავკასიაში ყოველთვის ჩვენ ვიყავით, ოსმალები, მაგრამ მერე მოვიდა ვიღაც გიორგი და იმან განგვდევნა და ამიტომაც გქვიათ თქვენ „გურჯიო".

ჩვენ რასაკვირველია ჩვენებურად უთხარით ჩვენი ისტორიისა და თან ვკითხეთ: რა გინდათ ჩვენგან, რას გვერჩით? ჩვენ არაფერი გვინდა თქვენგან; მხოლოდ კავკასიაში არის ჩვენი ხალხი და იმათ დასაცავად მოვდივართო.

ჩვენ ბინა გვქონდა ერთი ნაკაშიძის ქვრივის სახლში ეწერში. საუცხოვო ადამიანი იყო, ხშირად ლექსებით გველაპარაკებოდა.

რაღაც ნათესაობაც აღმოჩნდა ჩვენ შორის და ბოლოს შვილის მაგიერი თმაც მომაკვეცინა ამ კეთილმა მოხუცმა და თვალცრემლიანმა შვილობილად გამომაცხადა.

(შემდეგი იქნება)

პარტიზანი.

ჩვენი ფოსტა

სენაკის პარტიულ ორგანიზაციას. თქვენი განცხადება მივიღეთ მხოლოდ დეკემბრის 19-ს.

—

ფოთის ორგანიზაცია. თქვენი წერილი დეკემბრის 19 მივიღეთ.

გამომცემელი
[illegible]
[illegible] კომიტეტისა.

საექიმო მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევანი
მიიღება
ა. ს. ახვლედიანის
აფთიაქში. გოლოვინის პროსპექტი № 41, ტელეფონი 11—65. 2554

ექიმი [illegible] იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 8.

ექიმი **კონსტანტინე ტარიელის ძე ლორთქიფანიძე** (ბაქოდან) მიიღებს შინაგან სნეულობის და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. [illegible] ქუჩა, სახლი 11, ტელ. 8—19. 2012

ექიმი [illegible] მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიულ კოლეჯისა, იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალთა და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა [illegible]. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 სახ. საათამდე, მიხაილოვის პრ. [illegible] № 119. ტელ. 9—26. 2306

ექიმი **ნიკოლოზ მახვილაძე** იღებს სპეციალურად მალარიით (ციებ) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და [illegible] მოსკოვის ქ. № 11. 2245

ექიმი **დ. ა. ხარაძიძე** იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 2105

ექიმი **ზ. ა. მიქელაძე** მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი [illegible]. მიიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფები დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოვა" პირდაპირ № 8. 301

ექიმი [illegible] ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქის ფილტვების [illegible], გულისა და [illegible]. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი ჯგარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე. პეტროვის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

ექიმი **ქ. ტყეშელაშვილი,** განაახლა ავადმყოფების მიღება (საშარდე და სასქესო ორგანოების სნეულებანი, ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი, „914"-ის შეშხაპუნება) ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათ. გარდა კვირისა. კერძო საავადმყოფოში, მიხეილის ქუჩა, № 167. 2407

ექიმი **ბ. მ. მუხაძე** იღებს სალოსტაქრო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 15—77. 300

ექიმი **ნ. დ. [illegible]** (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სომხების აფთიაქის გვერდით. 908

თვალის სამკურნალო მუდმივი [illegible] ექიმ [illegible]
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 826

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი
მედიცინის დოქტორის
გ. მერაბოვისა
(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა)
მიიღებს **შინაგან და ნერვიულ** ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, **ჭლექის** ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), კუჭისა და ჭაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. ღარიბებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ.
საწყლებს უფასოდ. 1340

კერძო სამკურნალო
ექ. ა. დ. ალექსიძის
მომსვლელ ავადმყოფთათვის. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები
გ. მ. რეკვავა—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.
მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (ერლიხ) 11—12 ს.
ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.
ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.
ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.
მ. ნ. იმხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.
ს. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.
ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).
ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.
სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგე ექიმი.
მისამართი: ირაკლის ქუჩა № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—8
სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგე ექიმი. 2178

ექიმ ნანახარდიანის პირველი კერძო სამკურნალო.
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ა. ა. ნანახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ბ. მ. ავახართვილი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. გ. ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.
ი. ე. ტერ-გრიგორიანცი, 12—1 ს. შინაგანი.
რჩევა-დარიგება 3 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნანახარდიანი.

ძმ. ვეფხვაძეების
ლიმონადის ქარხნებში მზადდება სხვა და სხვა ლუდი და წყლები. ვიღებთ შეკვეთას პროვინციებიდან და რკინის გზის ბუფეტებიდან და ადგილობრივ მედუქნეებისაგან აქვე მზადდება საზამთრო კვასი პურისა და ხილეულობისა. ამ ღვინის სიძვირის დროს ხელმისაწდომ ფასებში, იყიდება აგრეთვე ნამდვილი ღვინის ძმარი გოგოლის და ბატარეის ქ. კუთხე 52—24. 2546

ტფილისი, სტამბა ბართნის № 14 (კალოუბნის ქ. 14).